სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

10 თებერვალი 2026

N 87/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. რუსთავში შპს „ქართული ცემენტის" რუსთავის ცემენტის ქარხნის 110/6 კვსატრანსფორმატორო ქვესადგურის ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ქართული ცემენტის" მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" (შემდგომ - კოდექსი) მიხედვით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით, 23/12/2025 წ. წერილით წარმოდგენილი იქნა განცხადება (N13366), საქმიანობის (რუსთავის ცემენტის ქარხნის 110/6 კვ სატრანსფორმატორო ქვესადგურის ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გერგილი"-ს მიერ.

აქვე მხედველობაშია მისაღები, რომ შპს „ქართული ცემენტი" არის შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია"-ს ახლანდელი სახელწოდება (შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია"-ს 20/09/2024 წ. N9412 წერილის მიხედვით, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია"-მ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს „ქართული ცემენტი" (ს/ნ: 230866435)).

წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით:

16/05/2019 წ. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ" მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მისაღებად, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (შემდგომ - სამინისტრო) წარადგინა განცხადება და კოდექსით განსაზღვრული დოკუმენტაცია (ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში, მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი). განცხადების განხილვის შემდეგ სამინისტროს მიერ 05.08.2019 წ. გამოიცა „ქ. რუსთავში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" რუსთავის ცემენტის ქარხნის 110/6 კვ სატრანსფორმატორო ქვესადგურის მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე" N2-733 ბრძანება (შემდგომ - N2-733 ბრძანება), რომლითაც დამტკიცდა „ქ. რუსთავში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" რუსთავის ცემენტის ქარხნის 110/6 კვ სატრანსფორმატორო ქვესადგურის მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ" 15/07/2019 წ. N1 გადაწყვეტილება. ამასთან, კომპანიას განესაზღვრა შესასრულებლად სავალდებულო პირობები და მათი შესრულების გეგმა-გრაფიკი.

20/12/2019 წ. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელდა №2-733 ბრძანებით დამტკიცებული №1 გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^3 მუხლის (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მიმდინარე

საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა) პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 053002 ოქმი და საქმის მასალები 30/12/2019 წ. განსახილველად გადაიგზავნა (N°DES31900091832 წერილი) რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

16/09/2021 წ. „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიამ“ მიმართა სამინისტროს N16655 წერილით და წარმოადგინა N2-733 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების ანგარიში.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მასში მოცემული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. კომპანიისთვის დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესწავლის შედეგად სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ დადასტურდა N2-733 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების გეგმა-გრაფიკის შესრულება (ინსპექტირების აქტი N007651, 04/11/2021 წ.).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ქართული ცემენტის" მიერ სააგენტოში 23/12/2025 წ. წარმოდგენილი იქნა N13365 განცხადება და მიმდინარე საქმიანობის (რუსთავის ცემენტის ქარხნის 110/6 კვ სატრანსფორმატორო ქვესადგურის ექსპლუატაცია) გზშ-ის ანგარიში.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით:

შპს „ქართული ცემენტის" 110/6 კვ სატრანსფორმატორო ქვესადგური მდებარეობს ქ. რუსთავში, მშენებელთა ქ. №70ა-ში, შპს „ქართული ცემენტის” რუსთავის ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: X-504230; Y-4595843). მანძილი უახლოესი საცხოვრებელი ზონიდან შეადგენს დაახლოებით 500 მეტრს.

ქვესადგურის ტერიტორია წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ 02.07.02.035), სადაც მცენარეულობა და ფაუნის წარმომადგენლები არ გვხვდება. ამჟამად ქარხანა აწარმოებს ცემენტა და კლინკერს. 110/6 კვ ძაბვის ქვესადგური ემსახურება და აღნიშნულ ქარხანას ელ. ენერგიით ამარაგებს 2007 წლიდან.

წარმოდგენილია ინფორმაცია, პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, მათ შორის, უმოქმედობის ალტერნატივა. ამასთან, უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილი იქნა ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ასევე, ვინაიდან, ქვესადგური წარმოადგენს უკვე მოქმედ ობიექტს, ალტერნატიული ვარიანტების განხილვა გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით მიზანშეუწონლად ჩაითვალა.

110/6 კვ სატრანსფორმატორო ქვესადგური გამოიყენება შპს „ქართული ცემენტის“ რუსთავის ცემენტის ქარხნის ფუნქციონირებისთვის. ქვესადგურის სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 365 დღეს, ხოლო სამუშაო საათების რაოდენობა- დღე-ღამეში 24 სთ. აღნიშნულმა სატრანსფორმატორო ქვესადგურმა ფუნქციონირება დაიწყო 2007 წელს. ქვესადგურის ღია გამანაწილებელი მოწყობილობა მოიცავს ორ ტრანსფორმატორს. ტრანსფორმატორები მიერთებული არიან 110 კვ ეგხ-სთან, რომელზეც დაყენებულია ორი სახაზო გამთიშველი. ქვესადგურის ტერიტორია მოშანდაკებულია.

ქვესადგურის სექციებში გამოყენებულია შვიდი კომპლექტი საჰაერო გამთიშველი. საჰაერო გამთიშველების გამოყენება ზრდის ქვესადგურის ექსპლუატაციას, ამცირებს ავარიული სიტუაციების განვითარების რისკს და უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო პირობებს ტექნიკური პერსონალისთვის. ქვესადგურში ასევე გამოყენებულია რვა კომპლექტი დამამიწებელი, რომელიც გამოიყენება დენის გამტარი ნაწილების მიწასთან დასაკავშირებლად, რათა უზრუნველყოს პერსონალის უსაფრთხოება სარემონტო და ოპერაციული პროცესებისას.

ქვესადგური აღჭურვილია ოთხი კომპლექტი დენის ტრანსფორმატორით, რომლებიც დაყოფილია როგორც აღრიცხვისთვის, ასევე სარელეო დაცვისთვის. დენის ტრანსფორმატორი წარმოადგენს გაზომვით მოწყობილობას, რომელიც განკუთვნილია მაღალი დენის გარდაქმნისთვის დაბალ მნიშვნელობებად, უსაფრთხო და ზუსტი გაზომვის მიზნით. იგი უზრუნველყოფს როგორც ელექტროენერგიის აღრიცხვას, ისე დაცვისა და ავტომატიზაციის სისტემების გამართულ მუშაობას. გარდა ამისა, ქვესადგურში

გამოყენებულია ორი კომპლექტი ელეგაზური ამომრთველი. როგორც აღინიშნა ქვესადგურში გამოყენებულია ორი ძალოვანი ტრანსფორმატორი 110/6 კვ ძაბვაზე: 25 მვა და 16 მვა სიმძლავრის.

აღწერილია რეგიონის ფონური მდგომარეობა და გარემო პირობები. მოცემულია ინფორმაცია ქვესადგურის ტერიტორიის გეოლოგიური მდგომარეობის შეფასების შესახებ. ქვესადგურის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მასალების მიხედვით, საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკები დაბალია.

შესაბამის ქვეთავებში მოცემულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე. ამასთან, მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების, პრევენციის მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები.

ქვესადგურის ექსპლუატაცია არ არის დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან. ქვესადგურში არ არსებობს ჰაერის დაბინძურების პოტენციური წყაროები. ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე უმნიშვნელო ზემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების წარმოების დროს. სარემონტო სამუშაოებისას ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების მინიმიზაციის მიზნით ანგარიშში განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

სატრანსფორმატორო ქვესადგურში ტექნოლოგიური დანადგარები, რომლებიც წარმოქმნიან ხმაურს, მეტწილად განლაგებულია შენობაში, რაც ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებულ ნეგატიურ ზემოქმედებას საგრძნობლად ამცირებს, ხოლო უახლოეს მოსახლეობამდე მანძილის გათვალისწინებით, ქვესადგურის მიმდინარე საქმიანობის პროცესში ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ხმაურის გავრცელების დონეების მინიმიზაციის კუთხით ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები (მაგ. მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა).

ქვესადგურის ფუნქციონირებისას ელექტრომაგნიტური გამოსხივების გავრცელება მოსალოდნელია მოქმედი ელექტროდანადგარებიდან და მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზიდან. გამომდინარე იქიდან, რომ ქვესადგური განთავსებულია დასახლებიდან მოშორებით, მოსახლეობაზე ელექტრული ველებით ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ანგარიშის მიხედვით, ელექტრული ველის ზემოქმედებისაგან დაცვის ღონისძიებების გატარება საჭიროა მხოლოდ მომსახურე პერსონალის უსაფრთხოებისთვის. დოკუმენტაციაში ასევე განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები ელექტრომაგნიტური ველების გავრცელების შესამცირებლად.

ქვესადგურის ექსპლუატაციის დროს მოსალოდნელია როგორც არასახიფათო, ასევე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების (ინდუსტრიული ზეთები და სხვა) დროებითი განთავსება მოხდება რუსთავის ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე გამოყოფილ სპეციალურ სასაწყობო სათავსში. შემდგომი მართვის მიზნით როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების გატანა ხდება ასეთ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორის საშუალებით.

ქვესადგურის ფუნქციონირებისას ნიადაგის, გრუნტის წყლების დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს ობიექტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო და სხვა მყარი ნარჩენების არასწორმა მენეჯმენტმა, საწვავ–საპოხი მასალების დაღვრამ, სატრანსფორმატორო ზეთის დაღვრამ, სარემონტო-პროფილაქტიკურმა სამუშაოებმა. პრევენციის მიზნით ანგარიშში მოცემულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის, ტრანსფორმატორებისთვის მოწყობილია ავარიული ზეთშემკრები სისტემა, ზეთმიმღები ორმოებით, მიწისქვეშა რეზერვუარითა და ზეთგამტანი მილსადენით. ეს სისტემა უზრუნველყოფს ტრანსფორმატორიდან დაღვრილი ზეთის უსაფრთხო შეგროვებას. შესაბამისად, სანიაღვრე სისტემა დაბინძურებისგან დაცულია. სატრანსფორმატორო ქვესადგურში წარმოქმნილი სამეურნეო–საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდება რუსთავის ცემენტის ქარხნის საკანალიზაციო ქსელში. ამასთან, ქვესადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურების პოტენციური წყარო არ არსებობს. დაუბინძურებელი სანიაღვრე წყლები ჩართულია რუსთავის ცემენტის ქარხნის სანიაღვრე საკანალიზაციო ქსელში (რომელიც ჩართულია შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს სერვისცენტრის კოლექტორში, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე).

საპროექტო მიწის ნაკვეთზე, როგორც შიგნით, ასევე მის მიმდებარე ვრცელ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის არქიტექტურის ძეგლები, კულტურული მემკვიდრეობის ფენები და არტეფაქტები არ ფიქსირდება.

ქვესადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე პროექტის გარშემო არ იკვეთება სხვა მიმდინარე ან დაგეგმილი ობიექტები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირში იქნებიან კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

ქვესადგურის ფუნქციონირების ეტაპზე, ობიექტის მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა და მუდმივი ზედამხედველობა.

ანგარიშში წარმოდგენილია გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის შეფასების შედეგად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 47-ე მუხლის მე-15 ნაწილისა და კოდექსის მეორე დანართის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. რუსთავში, შპს „ქართული ცემენტის” რუსთავის ცემენტის ქარხნის 110/6 კვ სატრანსფორმატორო ქვესადგურის ექსპლუატაციაზე.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. **შპს „ქართული ცემენტი“ ვალდებულია:**

   ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, დამატებითი დოკუმენტაციის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;

   ბ) უზრუნველყოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 04/08/2015 წ. N211 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

   გ) ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნიკური დანადგარების გამართულობაზე მუდმივი კონტროლის წარმოება;

   დ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ქართული ცემენტს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ქართული ცემენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/87-21-4-202602101636

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE